ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5370826

ნომერი: AR1801174

თარიღი : 29.01.2021

გაცემის თარიღი : 16.04.2021

გაცნობის თარიღი : 19.04.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა, N 33/პავლე ასლანიდის ქუჩა, N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შუქრი კაკაურიძე პ/ნ 01019009108
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 14

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ი.მ.ა "აკურის #27,29,33 ალმასიანის #34,40,42,46"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205299737
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შუქრი კაკაურიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019009108

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5233428
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 22.12.2020

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4641348
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 21.08.2019

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1801174 (29/01/2021) განაცხადით მომართა შუქრი კაკაურიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქუჩა, N33/პავლე ასლანიდის ქუჩა, N 40-ში მდებარე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.10.13.035.053), N5286340 (11/02/2021) გადაწყვეტილებით გაცემული პირობადადებული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

22/12/2020 წლის N5233428 ბრძანებით შეთანხმდა N5233446 (22/12/2020) ბრძანებით შეთანხმებული პროექტის და მშენებლობის ნებართვის პირობადადებული კორექტირებული პროექტი. აღნიშნული ბრძანებებით ნებართვის მფლობელს დაევალა შემდეგი:
„ამ ბრძანების გაცემიდან 40 (ორმოცი) დღის ვადაში, უზრუნველყოს: მერის განკარგულებაში N926 (15.03.2010 წ) შესაბამისი ცვლილების შეტანა“.

29/01/2021 წელს AR1801174 განაცხადით სამსახურს მომართა განმცხადებელმადა მოითხოვა 40 სამუშაო დღის ვადის პირობადადებული მშენებლობის ნებართვის აღება.

11/02/2021 წლის N5286340 ბრძანებით გაიცა 22/12/2020 წლის N5233428 ბრძანებით შეთანხმებული პირობადადებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, პირობადადებული მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ბრძანების მე- 3-ე პუნქტით ნებართვის მფლობელს დაევალა შემდეგი: „ამ ბრძანების გაცემიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოს: ა) მერის განკარგულებაში N926 (15.03.2010 წ) შესაბამისი ცვლილების შეტანა“.

29/01/2021 წელს AR1801174 განაცხადით სამსახურს მომართა განმცხადებელმა და მოითხოვა პირობის შესრულების ვადის გაგრძელება, ვინაიდან მერის განკარგულებაში ცვლილების შეტანის პროცესი არ იყო დასრულებული.

ვინაიდან, სამსახურის 22/12/2020 წლის N5233446 ბრძანების 1-ელი პუნქტით, 22/12/2020 წლის N5233428 ბრძანების მე-2-ე პუნქტით და 11/02/2021 წლის N5286340 ბრძანების მე-3-ე პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო გახდა დამატებითი ვადა, AR1801174 განაცხადით სამსახურს კვლავ მომართა განმცხადებელმა და მოითხოვა N5286340 ბრძანების მე-3-ე პუნქტით ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება. 09/03/2021 წლის №5315532 ბრძანებით დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე პირობის შესრულების ვადა გაგრძელდა 40 სამუშაო დღით.

დამკვეთმა 2021წლის 08 აპრილს წარმოადგინა ზემოაღნიშნული ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დამკვეთმა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მითითებები შეასრულა დროულად და სრულად.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს დამკვეთს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის №5286340 ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობა.
2. 2021 წლის 08 აპრილის № AR1801174 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ უნდა იქნას მასთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის №5286340 ბრძანებასთან ერთად.

---

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.